

## ლონდონის კომუნიკე

### უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევებისთვის

#### 1. შესავალი

1.1 ჩვენ, ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, შევიკრიბეთ ლონდონში, რათა განვიხილოთ 2005 წელს ქ. ბერგენში შეხვედრის შემდეგ მიღწეული შედეგები.

1.2 ქვეყნების გაწევრიანების თაობაზე მიღებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ჩვენ მივესალმებით მონტენეგროს რესპუბლიკას, როგორც ბოლონიის პროცესის წევრ-ქვეყანას.

1.3 გასული ორი წლის განმავლობაში მიღწეულმა პროგრესმა მნიშვნელოვნად დაგვაახლოვა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს (EHEA). ევროპის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე, ჩვენ ვქმნით უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ინსტიტუციური ავტონომიის, აკადემიური თავისუფლების, თანაბარი შესაძლებლობებისა და დემოკრატიის პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს მობილობას, გაზრდის დასაქმებისათვის მზაობას და გააძლიერებს ევროპის მიმზიდველობას და კონკურენტუნარიანობას. ვჭკვრეტთ რა მომავალს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ცვალებად სამყაროში მუდამ იქნება უმაღლესი განათლების სისტემების თავსებადობის აუცილებლობა, რადგან გლობალიზაციის გამოწვევების ფონზე უზრუნველყოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მუდმივი კონკურენტუნარიანობა და ეფექტურობა. ამ მოკლე ხანში, ბოლონიის რეფორმების განხორციელება გახდა მნიშვნელოვანი ამოცანა და ჩვენ ვაფასებთ ამ პროცესში მონაწილე ყველა პარტნიორის მხარდაჭერასა და შემართებას. მისასალმებელია სამუშაო ჯგუფებისა და სემინარების მიერ შეტანილი წვლილი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროგრესის მიღწევას. ჩვენ ვთანხმდებით გავაგრძელოთ პარტნიორული მუშაობა ერთობლივად, ურთიერთდახმარებით და სასარგებლო გამოცდილების გაზიარებით.

1.4 კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას, გავზარდოთ უმაღლესი განათლების სისტემების თავსებადობა და შესაბამისობა და ამავე დროს, პატივი ვცეთ მათ მრავალფეროვნებას. ვაღიარებთ იმ მნიშვნელოვან ზეგავლენას, რასაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩვენი საზოგადოების განვითარებაზე ახდენენ, რადგან ტრადიციულად, ისინი არიან სწავლის, კვლევის, შემოქმედებისა და ცოდნის მიცემის ცენტრები, ამასთანავე, ვაღიარებთ მათ წამყვან როლს იმ ფასეულობების განსაზღვრასა და გადაცემაში, რომელზეც ჩვენი საზოგადოებებია დაფუძნებული. ჩვენი მიზანია, უზრუნველყოთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუდამ გააჩნდეთ ისეთი რესურსები, რაც აუცილებელია მათი მიზნების განხორციელებისათვის. ეს მიზნებია: სტუდენტების მომზადება დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისათვის, მომავალი კარიერისთვის და პიროვნული განვითარებისთვის; ფართო, თანამედროვე ცოდნის მიცემა და კვლევისა და ინოვაციის ხელშეწყობა.

1.5 ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი, მრავალფეროვანი, სათანადოდ დაფინანსებული, ავტონომიური და ანგარიშვალდებული დაწესებულებები. არადისკრიმინაციული და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში უნდა იყოს დაცული. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვუერთგულებთ ამ პრინციპებს და სტუდენტებსა და აკადემიურ, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს დაეცავთ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან.

## 2. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის გზაზე მიღწეული პროგრესი

2.1 ჩვენი ანგარიში, რომელიც მიღწეულ შედეგებს აფასებს, აგრეთვე, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ანგარიში - „ტენდენციები V“, ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირების (ესიბი) ანგარიში - „სტუდენტის თვალთ დანახული ბოლონია“ და ევრიდიკეს - „ფოკუსი ევროპის უმაღლესი განათლების სტრუქტურაზე“ ადასტურებენ, რომ მთლიანობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული გასული ორი წლის განმავლობაში. იზრდება საზოგადოებრივი თვითშეგნება, რომ პროცესის მნიშვნელოვანი შედეგია მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებიდან სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებაზე გადასვლა. ჩვენ მომავალშიც შევუწყობთ ხელს ამ მნიშვნელოვან განვითარებას.

### მობილობა

2.2. პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მობილობა ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც, თავის მხრივ, ავითარებს პიროვნულ შესაძლებლობებს, აძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას ადამიანებსა და ინსტიტუციებს შორის, ზრდის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხს და ხელს უწყობს ევროპული განზომილების დამკვიდრებას.

2.3 1999 წლიდან გარკვეული პროგრესი უკვე არის, თუმცა მრავალი პრობლემა კვლავ გადასაჭრელია. მობილობის დაბრკოლებებს შორის მუდამ თავს იჩენს ემიგრაციასთან, აღიარებასთან, არასაკმარის ფინანსურ მექანიზმებთან და მოუქნელ საპენსიო პირობებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ ვაცნობიერებთ ცალკეული მთავრობების პასუხისმგებლობას ვიზების გაცემისა და ცხოვრებისა და მუშაობის უფლების მინიჭების საკითხებში. იქ, სადაც ასეთი საკითხები ჩვენს, როგორც უმაღლესი განათლების მინისტრების, კომპეტენციას ცილდება, ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ ვიმუშავებთ ჩვენს მთავრობებში ამ მიმართულებით გადამწყვეტი პროგრესის მისაღწევად. ეროვნულ დონეზე კი, უზრუნველყოფთ კვალიფიკაციის აღიარების შეთანხმებული მექანიზმებისა და პროცედურების სრულყოფილად განხორციელებას. ასევე, განვიხილავთ მობილობის წახალისების შესაძლებლობებს სტუდენტებისა და პერსონალისთვის. მაგალითად, როგორცაა, ერთობლივი პროგრამების ხელშეწყობა და მოქნილი კურიკულუმების შემუშავება, ამასთანავე, დაწესებულებების გაზრდილი პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყონ სტუდენტებისა და პერსონალის თანაბრად დაბალანსებულ მობილობას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში.

### ხარისხების სისტემა

2.4 უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ჩვენი მიზნის მისაღწევად შესაძლებელი პროგრესია ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა. სამსაფეხურიან სისტემაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და საფეხურებს შორის არსებული სტრუქტურული ბარიერები შემცირდა. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ კურიკულუმის რეფორმის მნიშვნელობას, მიღებული კვალიფიკაციის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და სწავლის გაგრძელების მიზნით. მომავალში განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო საფეხურებს შორის დაბრკოლებების მოხსნისა და მათ შორის გადასვლის გასაუმჯობესებლად, ასევე, სწავლის შედეგების და სტუდენტის დატვირთვის გათვალისწინებით, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის სწორად გამოყენებისათვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სტუდენტების მზაობა დასაქმებისათვის, ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ მონაცემთა შეგროვება ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს.

#### აღიარება

2.5. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის, სწავლის პერიოდებისა და (ფორმალური და არაფორმალური) წინმსწრები განათლების, სამართლიანი აღიარება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, როგორც ამ სივრცის შიგნით, ისე გლობალურ კონტექსტში. ადვილად გასაგები და შესადარისი ხარისხები, ხალმისაწვდომი ინფორმაცია განათლების სისტემებსა და კვალიფიკაციების ჩარჩოები, მოქალაქეთა მობილობის გაზრდის და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წინაპირობებია. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ბოლონის პროცესის 38-მა ქვეყანამ, მონტენეგროს ჩათვლით, „ევროსაბჭო/იუნესკოს ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების კონვენციის“ (ლისაბონის კვალიფიკაციის აღიარების კონვენცია) რატიფიკაცია მოახდინა. ამასთანავე, ჩვენ მოუწოდებთ დანარჩენ წევრებს, სასწრაფოდ მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამ მიმართულებით.

2.6. პროგრესი აღინიშნება ლისაბონის კვალიფიკაციების აღიარების კონვენციის განხორციელებაში, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისა და დიპლომის დანართის საკითხებში, მაგრამ ეროვნული და ინსტიტუციური მიდგომები ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. კიდევ უფრო რომ გაუმჯობესდეს აღიარების პროცედურები, ჩვენ ვთხოვთ ბოლონის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, რომ ენიკ/ნარიკის ქსელის მეშვეობით გააანალიზოს ეროვნული სამოქმედო გეგმები და ხელი შეუწყოს სასარგებლო გამოცდილების გავრცელებას.

#### კვალიფიკაციების ჩარჩოები

2.7 კვალიფიკაციების ჩარჩოები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შესადარისობისა და გამჭვირვალობის მისაღწევად. ჩარჩო ხელს უწყობს სტუდენტების გადაადგილებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. იგი ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სწავლის შედეგებსა და კრედიტებზე დაფუძნებული მოდულების და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში; აუმჯობესებს კვალიფიკაციისა და წინმსწრები განათლების ნებისმიერი ფორმის აღიარებას.

2.8 უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პროგრესია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავების პროცესში, მაგრამ გაცილებით მეტი მუშაობაა ამ მიმართულებით საჭირო. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ შევიმუშავებთ ეროვნული კვალიფიკაციების სრულყოფილ ჩარჩოებს და 2010 წლისათვის მოვახდენთ მის სერტიფიცირებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყოვლისმომცველ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მიმართებაში. ამასთანავე ვაღიარებთ, რომ ეს რთული ამოცანაა და ვთხოვთ ევროპის საბჭოს დაგვეხმაროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავების პროცესში გამოცდილების გაზიარებაში. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კვალიფიკაციების ჩარჩო ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას და გააუმჯობესოს მათი მზაობა დასაქმებისთვის.

2.9 კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაში იქნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყოვლისმომცველ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, ასევე თანხვედრა ევროკომისიის მიერ შემოთავაზებულ - „ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის“.

2.10 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყოვლისმომცველი კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც ბერგენში იქნა შეთანხმებული, გლობალურ კონტექსტში ევროპის უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მთავარი ინსტრუმენტია.

#### სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე

2.11 შედეგების შეფასების ანგარიში ადასტურებს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში მოქნილი სწავლების გარკვეული ელემენტები არსებობს, თუმცა სისტემური მიდგომა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. ამიტომ, ჩვენ ვთხოვთ ბოლონის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, ხელი შეუწყოს სასარგებლო გამოცდილების გაზიარებას და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაში უმაღლესი განათლების როლთან დაკავშირებით. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია განვითარებული წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმები ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და კრედიტების აღიარების მიზნით. ჩვენ მოვუწოდებთ ბოლონის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, რომ ენიკ/ნარიკთან თანამშრომლობით შეიმუშაოს წინადადებები წინმსწრები განათლების აღიარებასთან დაკავშირებით.

#### ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეგისტრი

2.12 ბერგენში მიღებული დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისთვის (ESG)“ - ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ ცვლილებების გამომწვევი ძლიერი მექანიზმი გახდა. ყველა ქვეყანამ დაიწყო მისი განხორციელება და ზოგიერთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. წინანდელთან შედარებით უკეთ არის განვითარებული ხარისხის გარე შეფასება. 2005 წლიდან გაიზარდა სტუდენტების მონაწილეობა ყველა დონეზე, თუმცა ამ მიმართულებითაც საჭიროა შემდგომი გაუმჯობესება. გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი პასუხისმგებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკისრებათ, მათ უნდა განაგრძონ ხარისხის

უზრუნველყოფის შიდა სისტემების განვითარება. ჩვენ ვამჩნევთ მიღწეულ პროგრესს აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით და მომავალშიც ხელს შეეწყობთ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს შორის მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას.

2.13 2006 წელს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის, ენკას, ევრაშეს და ესიბის მიერ ორგანიზებულ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის პირველ ფორუმზე შესაძლებელი გახდა ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების საკითხებზე მსჯელობა. ჩვენ მოვუწოდებთ ამ ოთხ ორგანიზაციას, გააგრძელონ ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიური ფორუმების ორგანიზება, რათა გაიზარდოს სასარგებლო გამოცდილების გაზიარება და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების წინაპირობა შექმნას.

2.14 მადლობელი ვართ ოთხი ევროპული ორგანიზაციისა, რომ მათ შეასრულეს ჩვენი თხოვნა და დასახეს პრაქტიკული გეგმა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეგისტრის ჩამოყალიბებისათვის. რეგისტრის მიზანია, შესაძლებლობა მისცეს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ფართო საზოგადოებას მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სანდო სააგენტოების შესახებ, რომლებიც ESG-ს შესაბამისად მუშაობენ. ამგვარად, ის გაზრდის ნდობას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მიმართ და ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის გადაწყვეტილებათა ორმხრივ აღიარებას. ჩვენ მივესალმებით ოთხი ევროპული ორგანიზაციის მიერ პარტნიორული თანამშრომლობით შემუშავებული რეგისტრის მოქმედი მოდელის ჩამოყალიბებას. რეგისტრი იქნება ნებაყოფლობითი, თვითდაფინანსებადი, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე. რეგისტრში მოხვედრის მსურველთა განაცხადები შეფასდება ESG-ს კრიტერიუმების მიხედვით დამოუკიდებელი განხილვის პროცესის შედეგად და ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერით, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნაა. ჩვენ ვთხოვთ ოთხ ევროპულ ორგანიზაციას, რომ პროგრესის შესახებ რეგულარულად მოგვაწოდოს ინფორმაცია ბოლონიის გაფართოებული სამუშაო ჯგუფის მეშვეობით და ასევე, ორი წლის მუშაობის შემდეგ უზრუნველყოს რეგისტრის გარე შეფასება ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებების გათვალისწინებით.

## დოქტორანტი

2.15 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისა და ევროპის კვლევის სივრცის ურთიერთკავშირის გაზრდა მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. ჩვენ ვაღიარებთ ისეთი მრავალფეროვანი სადოქტორო პროგრამების დანერგვის აუცილებლობას, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყოვლისმომცველ კვალიფიკაციების ჩარჩოს. ამავე დროს, ის არ უნდა იყოს ზედმეტად რეგულირებული. მიგვაჩნია, რომ მესამე საფეხურზე საგანმანათლებლო მომსახურების გაძლიერება, და ახალბედა მკვლევარების სტატუსის, კარიერის პერსპექტივების და დაფინანსების გაუმჯობესება მთავარი წინაპირობაა ევროპის მიზნების მისაღწევად, რათა გაძლიერდეს კვლევის შესაძლებლობები და გაიზარდოს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

2.16 შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ შეიტანონ სადოქტორო პროგრამების განვითარება მათ საუნივერსიტეტო სტრატეგიებში და დოქტორანტებისა და ასაღბედა მკვლევარებისთვის ჩამოაყალიბონ კარიერის დაგეგმვის და შესაძლებლობების გაზრდის შესაბამისი პოლიტიკა.

2.17 ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას, რომ მომავალშიც შეუწყოს ხელი გამოცდილების გაზიარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ევროპის მასშტაბით არსებულ ინოვაციურ სადოქტორო პროგრამებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, ხელმისაწვდომობის გამჭვირვალებობა, დოქტორანტის ხელმძღვანელობა და შეფასების პროცედურები, ტრანსფერული უნარების განვითარება და დასაქმებისათვის მზაობის გაძლიერება. ჩვენ მოვიძიებთ საშუალებებს, რომ კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს ინფორმაციის გაცვლა დაფინანსების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს მთავრობებსა და კვლევების სხვა დამფინანსებელ ორგანოებს შორის.

### სოციალური განზომილება

2.18 უმაღლესმა განათლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სოციალური ერთიანობის ხელშეწყობის, უთანასწორობის შემცირებისა და საზოგადოებაში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების დონის ამაღლებაში. ამიტომ პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ინდივიდუალური პოტენციალის ამაღლებას, პიროვნულ განვითარებას და მდგრადი და დემოკრატიული ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მათი წვლილის გაზრდას. ჩვენ ვიზიარებთ საზოგადოების სულისკვეთებას, რომ უმაღლესი განათლების ყველა დონის სტუდენტები ხელს უწყობენ ჩვენი მრავალფეროვნებას. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა სწავლის დასრულება სოციალური და ეკონომიკური დაბრკოლებების გარეშე შეძლონ. ამიტომ ჩვენ მომავალშიც შევუწყობთ ხელს სტუდენტური მომსახურების გაძლიერებას, ასევე უზრუნველყოფთ უმაღლეს განათლებაში ხელმისაწვდომობის და მონაწილეობის უფრო მოქნილ გზებს და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, გავაფართოებთ მონაწილეობას ყველა დონეზე.

### უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე გლობალურ კონტექსტში

2.19 ჩვენ სიამოვნებით ავლნიშნავთ, რომ მსოფლიოს ბევრ კუთხეში, ბოლონიის რეფორმებმა დიდი დაინტერესება და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ევროპულ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის დისკუსია გამოიწვია. ამ საკითხებს შორისაა კვალიფიკაციის აღიარება, პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა, ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების საკითხები და ბოლონიის პროცესის ძირითადი ფასეულობები. უფრო მეტიც, ჩვენ ვაფასებთ მსოფლიოს სხვა რეგიონების ზოგიერთი ქვეყნის ძალისხმევას, დაუახლოვონ მათი უმაღლესი განათლების სისტემები ბოლონიის მოთხოვნებს.

2.20 ჩვენ ვიღებთ სტრატეგიას „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე გლობალურ გარემოში“ და განვაგრძობთ მუშაობას ამ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გასაფართოებლად. ჩვენ გავაუმჯობესებთ ინფორმაციის მიწოდებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ და ხელს

შეუწყობთ სივრცის მიმზიდველობასა და კონკურენტუნარიანობას, გავაძლიერებთ პარტნიორობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, პოლიტიკურ დიალოგს და გავამარტივებთ აღიარებას. ეს სამუშაო შესრულდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/იუნესკოს დოკუმენტის მიხედვით, - „საერთაშორისო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები“.

### 3. პრიორიტეტები 2009 წლისათვის

3.1 მომავალი ორი წლის განმავლობაში, ჩვენ ვთანხმდებით, რომ დავასრულებთ მუშაობას წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებზე, სამსაფეხურიანი სისტემის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარების ჩათვლით. ჩვენ განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას შემდეგ საკითხებზე:

#### მობილობა

3.2 2009 წლის ეროვნულ ანგარიშებში შევიტანთ ინფორმაციას ეროვნულ დონეზე სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ასევე განვსაზღვრავთ მათი შეფასების კრიტერიუმებს. ჩვენ განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას 2.3 აბზაცით განსაზღვრულ მთავარ ეროვნულ ამოცანებზე. ჩვენ ასევე ვთანხმდებით ინფორმაციის გაცვლისა და გრანტებისა და სესხების გადატანასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვის მიზნით ექსპერტების ეროვნული ქსელის ჩამოყალიბების თაობაზე.

#### სოციალური განზომილება

3.3 ჩვენ ასევე მოვამზადებთ ანგარიშს სოციალურ განზომილებასთან დაკავშირებით, ეროვნული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შესახებ, მათი ეფექტურობის შეფასების სამოქმედო გეგმის ჩათვლით. ეროვნულ დონეზე ჩვენ მოვიწვევთ ყველა დაინტერესებულ მხარეს მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის.

#### მონაცემთა შეგროვება

3.4 ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბოლონის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანაში საჭიროა გაუმჯობესდეს მონაცემთა ხელმისაწვდომობა, როგორც სტუდენტების მობილობის, ისე სოციალური განზომილების შესახებ. ამიტომ, ჩვენ ვთხოვთ ევროკომისიას („ევროსტატი“) „ევროსტუდენტთან“ ერთად შეიმუშაოს საერთო და სანდო ინდიკატორები და მონაცემები ბოლონის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანაში სოციალურ განზომილებასა და სტუდენტებისა და პერსონალის მობილობასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შეფასების მიზნით. მონაცემები უნდა მოიცავდეს უმაღლეს განათლებაში თანასწორ მონაწილეობას და კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის მზაობას. ეს ამოცანა უნდა განხორციელდეს ბოლონის პროცესის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფთან ერთად და ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს 2009 წლის მინისტრების კონფერენციაზე.

#### დასაქმებისათვის მზაობა

3.5 სამსაფეხურიანი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, ჩვენ ვთხოვთ ბოლონის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს უფრო დეტალურად განიხილოს

დასაქმებისათვის მზაობის საკითხი თითოეულ საფეხურთან მიმართებაში და ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონტექსტში. ეს გულისხმობს ყველა დაინტერესებული პირის პასუხისმგებლობას. მთავრობებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დასჭირდებათ უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მათი რეფორმების განხორციელების მიზნით. შესაბამისად, ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს მთავრობებში, რათა უზრუნველყოთ, რომ დასაქმება და კარიერული საფეხურები სახელმწიფო სამსახურში სრულად შეესაბამებოდეს ხარისხების ახალ სისტემას. ჩვენ მოვუწოდებთ დაწესებულებებს, რომ უფრო მეტად განავითარონ პარტნიორობა და თანამშრომლობა დამსაქმებლებთან სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ინოვაციური კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

### უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე გლობალურ კონტექსტში

3.6 ჩვენ ვთხოვთ ბოლონის გაფართოებული სამუშაო ჯგუფს 2009 წელს მოგვასხენოს ევროპულ, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე ამ სფეროში მიღწეული ზოგადი მდგომარეობის შესახებ. მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს თავისი როლი ამ საკითხში. გლობალურ კონტექსტში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სტრატეგიის განხორციელების შესახებ ანგარიშის ჩაბარებისას ბოლონის გაფართოებულმა სამუშაო ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ორ პრიორიტეტს. პირველი, ბოლონის სამდივნოს ვებგვერდის განვითარებით და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ბოლონის გზამკვლევზე დაყრდნობით, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მეორე, კვალიფიკაციის აღიარების გამარტივება. ჩვენ მოვუწოდებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიკნარიკის ცენტრს და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში კვალიფიკაციის აღიარების საკითხში სხვა კომპეტენტურ ორგანოებს ისეთივე ობიექტურობით შეაფასონ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიღებული კვალიფიკაცია, როგორც ისინი ამას მოელოან ევროპული კვალიფიკაციის შეფასებისას და ეს შეფასება დააფუძნონ ლისაბონის კვალიფიკაციის აღიარების კონვენციას.

### შედეგების შეფასება

3.7 ჩვენ ვთხოვთ ბოლონის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს ეროვნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, კვლავ მოამზადოს შედეგების შეფასების ანგარიში 2009 წლის მინისტრების კონფერენციისთვის. ჩვენ მოვუწოდებთ, რომ ამ ანგარიშში გაიზრდეს თვისობრივი ანალიზი განსაკუთრებით, მობილობასთან, ბოლონის პროცესთან გლობალურ კონტექსტში და სოციალურ განზომილებასთან დაკავშირებით. შედეგების შეფასების ანგარიში კვლავ უნდა მოიცავდეს ხარისხების სისტემას, კურსდამთავრებულების მზაობას დასაქმებისათვის და ESG-ს პრინციპების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. ვითვალისწინებთ რა, რომ გადავდივართ სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებულ სწავლაზე, მომავალში უნდა შევისწავლოთ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოები, სწავლის შედეგები, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და წინმსწრები განათლების აღიარება.

## **4. 2010 წელი და მისი შემდგომი პერიოდი**



4.1 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარების და გლობალიზაციის გამოწვევებისათვის მზადების ფონზე, ვიმედოვნებთ, რომ თანამშრომლობა 2010 წლის შემდეგაც გაგრძელდება.

4.2 ჩვენ მიზნად ვისახავთ, ავლნიშნოთ 2010 წელი, როგორც ბოლონიის პროცესიდან უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გადასვლის ეტაპი და ამასთანავე, როგორც შესაძლებლობა, რომ კიდევ ერთხელ დავადასტუროთ უმაღლესი განათლების განსაკუთრებული როლი ჩვენი საზოგადოების მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხში, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე. 2010 წელს მივიჩნევთ მნიშვნელოვან შესაძლებლობად, რომ განვაახლოთ ის ხედვა, რამაც 1999 წელს ბოლონიის პროცესის იდეას ჩაუყარა საფუძველი, ხოლო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე დაეფუძნოს იმ ფასეულობებსა და შეხედულებებს, რაც სცილდება სტრუქტურულ თუ ინსტრუმენტურ საკითხებს. 2010 წელს ჩვენ უნდა შევძლოთ თავიდან მოვმართოთ უმაღლესი განათლების სისტემები ისე, რომ ტექნიკური საკითხებიდან გადავიდეთ სიღრმისეული ამოცანების გადაჭრაზე, რაც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს.

4.3 ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, რომ უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს 2010 წლის შემდგომი განვითარების ხედვა და მოგვახსენოს ამის შესახებ 2009 წელს. ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ თანამშრომლობის დღევანდელმა არაფორმალურმა საშუალებებმა გაამართლა და უპრეცედენტო ცვლილებები გამოიწვია, მომავლის ხედვა უნდა მოიცავდეს შესაბამისი მხარდამჭერი სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

4.4 წინა ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორცაა „შედევების შეფასება“, „ტენდენციები“ და „სტუდენტის თვალით დანახული ბოლონია“, მოვუწოდებთ ბოლონიის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, კონსულტანტ ორგანიზაციებთან პარტნიორობით და დამოუკიდებელი შეფასებით, 2010 წლისათვის მოამზადოს ანგარიში, სადაც შეფასებული იქნება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ბოლონიის პროცესის ფარგლებში 1999 წლიდან მიღწეული პროგრესი.

4.5 2010 წელს მინისტრების შეხვედრის ხასიათის, შინაარსისა და ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ბოლონიის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფის მიერ 2008 წლის პირველ ნახევარში.

4.6 ჩვენს შემდგომ შეხვედრას უმასპინძლებენ ბენელუქსის ქვეყნები 2009 წლის 28-29 აპრილს ლუვენში და ლუვენ-ლა-ნევეში.